სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

## საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | საერთაშორისო ურთიერთობები |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | მარიამ ელიაძე |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი<br>Bachelor of International Relations |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | 240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს). |
| **პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი** | 31.03.2015<br>№02-15 |
| **პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი** | 01.09.2025<br>№04-25 |

### პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

### პროგრამის მიზანი

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა კურსდამთავრებელს:

(A) აძლევს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების, სისტემისა და სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიულ ცოდნას;
(B) სძენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარებს;
(C) უვითარებს საერთაშორისო ურთიერთობების ფუძემდებლური პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარს;
(D) უვითარებს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას.

## სწავლის შედეგები

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულმა იცის/აცნობიერებს:

(A) საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითად პრინციპებს და თავისებურებებს, საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების ტენდენციებს და მასთან დაკავშირებულ კომპლექსურ საკითხებს, საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიებს და მათ მნიშვნელობას საერთაშორისო სისტემის ფორმირებისათვის, მათ შორის საერთაშორისო სისტემის სტრუქტურას და ძალთა ბალანსის ძირითად მოდელებს;
(B) საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვ. პროცესებს და საერთაშორისო ურთიერთობების უახლეს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, ისტორიულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს.

**უნარები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

(C) წინასწარ მიღებული მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით საგარეო პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, მათ შორის რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე, რომლებიც მოითხოვს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების გამოყენებას მსოფლიო პოლიტიკური პროცესების, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და რეგიონული დინამიკის ანალიზისას;
(D) პროფესიული საქმიანობისას საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად სფეროსთვის დამახასიათებელი სტანდარტული და უახლესი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოს დაგეგმვა და მოქმედება კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკისა და განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით;
(E) სფეროს თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმა, რელევანტური მეთოდების გამოყენებით სიტუაციებისა და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზი, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება, ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ვერბალური კომუნიკაცია და სხვ. უნარები.
(F) საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება, მოვლენების და კონკრეტული ფაქტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა, პრობლემის იდენტიფიცირება და შესაძლო შედეგების პროგნოზირება და შეფასება, ინფორმაციის/მასალების დამუშავება და ანალიზი, სწორი დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, წარმოქმნილი სიტუაციის, საკუთარი თავის და სხვების პიროვნული და ინტელექტუალური პოტენციალის, პიროვნული თვისებების, ქმედებების და მათი გამომწვევი მიზეზების ადეკვატური შეფასება, ანალიზი, თვითკრიტიკა, სხვისი მოსაზრებების ობიექტური შეფასებები, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება, ქცევითი სტრატეგიის ჩამოყალიბება და ადეკვატური მოქმედება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში პრობლემის გადაჭრის გზების დასახვა, მათ შორის გლობალური და რეგიონული პოლიტიკის კონტექსტში დამოუკიდებელი და არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღება.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:**

კურსდამთავრებული შეძლებს:

(G) საერთაშორისო ურთიერთობებში ღირებულებითი პრინციპებისა და ეთიკის სტანდარტის დაცვას;
(H) სწრაფად ცვალებად საინფორმაციო გარემოში ღირსეულად ადაპტირებასა და საკუთარი სასწავლო საჭიროებების დადგენა-განსაზღვრას სწავლის შემდგომი გაგრძელების მიზნით;

| სწავლება-სწავლის მეთოდი |
|---|
| ☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება<br>☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა |

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

| ხუთი სახის დადებით შეფასებას: | |
|---|---|
| (A) ფრიადი | შეფასების 91-100 ქულა; |
| (B) ძალიან კარგი | მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; |
| (C) კარგი | მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; |
| (D) დამაკმაყოფილებელი | მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; |
| (E) საკმარისი | მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. |
| **ორი სახის უარყოფით შეფასებას:** | |
| (FX) ვერ ჩააბარა | მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; |
| (F) ჩაიჭრა | მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |

**შეფასების ფორმები და კომპონენტები**

| შეფასების ფორმები და კომპონენტები | მაქსიმალური ქულა |
|---|---|
| **შუალედური შეფასება, მათ შორის:** | **70 ქულა** |
| წერითი/ზეპირი გამოკითხვა | 30 |
| შუალედური წერითი/ზეპირი გამოცდა | 30 |

| | |
|---|---|
| ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია | 10 |
| **დასკვნითი შეფასება** | **30 ქულა** |
| დასკვნითი წერითი/ზეპირი  გამოცდა | 30 |
| სულ | **100 ქულა** |
| საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. | |

## დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, საერთაშორისო და ადგილობრივ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, საელჩო/საკონსულოებში, საგარეო საქმეთა სამინისტროში და სხვ., სადაც მოითხოვება/საკმარისია საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ასევე, კურს-დამთავრებული შეიძლება დასაქმდეს მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ტურიზმის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართულ, ისე უცხოურ ტუ-რისტულ კომპანიებში, სახელმწიფო და კომერციული სექტორის ტურისტულ ორგანიზაციებში, საკურორტო ობიექტებზე ან/და სხვ; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო  ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულე-ბებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სოციალური მეცნიერებების მიმართულების შესაბამისი სპეციალობის/სპეციალიზაციის ან სხვა მიმართულების/სპეციალობის/სპეციალიზაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგ-რამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

*შენობა-ნაგებობანი* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

*ბიბლიოთეკა* - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline, ELSEVIER: Scopus, Science Direct, Scival Funding). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

*აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე* - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

*საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები* - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებლო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

## სწავლების ორგანიზების თავისებურებები

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც ნაწილდება შემდეგნაირად: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 ECTS, სავალდებულო კომპონენტი არის 168 ECTS: სავალდებულო სასწავლო კურსები - 156 ECTS და არჩევითი სასწავლო კურსებიდან 12 ECTS მოცულობით, ინგლისური ენის კომპონენტი 24 ECTS. უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2). დარჩენილი 18 კრედიტის დასაგროვებლად სტუდენტს შეუძლია აირჩიოს საგნები უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)ის არჩევითი სასწავლო კურსებიდან.

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს თავისუფალი კომპონენტის სახით შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1),

ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2)

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში

შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2).

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

- ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა
- ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა
- ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა
- ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა
- ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა
- ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

**შენიშვნა**: ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2)

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისურიენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ,სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78
**შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | მოდული/საგანი | ECTS კრედიტი | | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | | | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| | | სასწავლო კომპონენტი | | | | | | | | | | | | |
| | | საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| 1. | | წინაპირობის გარეშე | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | 6/150 | | | | | | | | | 29 | 121 |
| 2. | | წინაპირობის გარეშე | კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა | | | | 6/150 | | | | | | 30 | 120 |
| 3. | | წინაპირობის გარეშე | ფსიქოლოგიის საფუძვლები | 6/150 | | | | | | | | | 42 | 108 |
| 4 | | წინაპირობის გარეშე | აკადემიური წერა | | | | | | 6/150 | | | | 41 | 109 |
| 5. | | წინაპირობის გარეშე | სახელმწიფო ენის საფუძვლები | | 6/150 | | | | | | | | 28 | 122 |
| | | უცხო ენის კომპონენტი | | | | | | | | | | | | |
| 6. | | წინაპირობის გარეშე | ინგლისური ენა A1[1] | 6/150 | | | | | | | | | 81 | 69 |
| 7. | | ინგლისური ენა A1 | ინგლისური ენა A2 | 6/150 | | | | | | | | | 81 | 69 |

[1] შენიშვნა: ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. | | ინგლისური ენა A2 | ინგლისური ენა – B1/1* | 6/150 | | | | | | | | | 81 | 69 |
| 9. | | ინგლისური ენა– B1/1 | ინგლისური ენა – B1/2* | | 6/150 | | | | | | | | 81 | 69 |
| 10. | | ინგლისური ენა– B1/2 | ინგლისური ენა – B2/1* | | | 6/150 | | | | | | | 81 | 69 |
| 11. | | ინგლისური ენა–B2/1 | ინგლისური ენა – B2/2 | | | | 6/150 | | | | | | 81 | 69 |
| 12. | | წინაპირობის გარეშე | გერმანული ენა A1.1/რუსული ენა A1.1/ფრანგული ენა A1.1 | | 6/150 | | | | | | | | 55 | 95 |
| 13. | | გერმანული ენა A1.1/ რუსული ენა A1.1/ფრანგული ენა A1.1 | გერმანული ენა A1.2/რუსული ენა A1.2/ფრანგული ენა A1.2/ | | | 6/150 | | | | | | | 55 | 95 |
| 14. | | გერმანული ენა A1.2/ რუსული ენა A1.2/ფრანგული ენა A1.2/ | გერმანული ენა A2.1/1/რუსული ენა A2.1/ფრანგული ენა A2.1 | | | | 6/150 | | | | | | 55 | 95 |
| 15. | | გერმანული ენა A2.1/1/რუსული ენა A2.1/ფრანგული ენა A2.1 | გერმანული ენა A2.2/რუსული ენა A2.2/ფრანგული ენა A2.2 | | | | | 6/150 | | | | | 55 | 95 |
| | | სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| 16. | | წინაპირობის გარეშე | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1 | 6/150 | | | | | | | | | 29 | 121 |
| 17. | | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1 | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2 | | 6/150 | | | | | | | | 28 | 122 |
| 18. | | წინაპირობის გარეშე | შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში | 6/150 | | | | | | | | | 30 | 120 |
| 19. | | წინაპირობის გარეშე | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | | | 6/150 | | | | | | | 28 | 122 |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები | | | | | | | 6/150 | | | 29 | 121 |
| 20. | | წინაპირობის გარეშე | შესავალი საერთაშორისო ურთიერთო-ბებში | | 6/150 | | | | | | | | 29 | 121 |
| 21. | | წინაპირობის გარეშე | პოლიტიკური თეორია | | | | | | 6/150 | | | | 29 | 121 |
| 22. | | წინაპირობის გარეშე | საერთაშორისო ურთიერთობების თეორია | | | 6/150 | | | | | | | 29 | 121 |
| 23. | | წინაპირობის გარეშე | საერთაშორისო ეკონომიკა | | | | 6/150 | | | | | | 29 | 121 |
| 24. | | წინაპირობის გარეშე | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | | | 6/150 | | | | | | | 46 | 104 |
| 25. | | შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში | შედარებითი პოლიტიკა | | | | 6/150 | | | | | | 29 | 121 |
| 26. | | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | საერთაშორისო საჯარო სამართალი | | | | | | 6/150 | | | | 40 | 110 |
| 27. | | წინაპირობის გარეშე/ინგლისური ენა B2/2 | საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტი-ტუტები (ქართულ/ინგლისურ ენაზე)[2] | | | | | 6/150 | | | | | 29 | 121 |
| 28. | | წინაპირობის გარეშე | მსოფლიო პოლიტიკა | | | | | 6/150 | | | | | 28 | 122 |
| 29. | | საერთაშორისო საჯარო სამართალი | ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი | | | | | | | 6/150 | | | 41 | 109 |
| 31. | | წინაპირობის გარეშე | სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში | | | | | | | | 6/150 | | 29 | 121 |
| 32. | | ინგლისური ენა B2.2 | საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) | | | | | | | | 6/150 | | 42 | 108 |
| 33. | | წინაპირობის გარეშე | დიპლომატიური მოლაპარაკებების თეორია | | | | | | | 6/150 | | | 29 | 121 |

[2] შენიშვნა: წინაპირობა ინგლისური ენა B2/2 მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვინც აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე გაივლის.

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 34. | | წინაპირობის გარეშე | ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმირებაში | | | | | | | 6/150 | | | 31 | 119 |
| 35. | | წინაპირობის გარეშე | ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები | | | | | | 6/150 | | | | 29 | 121 |
| 36. | | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, ინგლისური ენა B2/2 | საგარეო პოლიტიკის ანალიზი (ქართულ/ინგლისურ ენაზე)[3] | | | | | | | 6/150 | | | 29 | 121 |
| 37. | | შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში; შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში; საერთაშორისო ურთიერთობების თეორია | საბაკალავრო ნაშრომი | | | | | | | | 6/150 | | 16 | 134 |
| | | არჩევითი სასწავლო კურსები | | არჩევა შესაძლებელია | | | | | | | | ECTS | | |
| 38. | | წინაპირობის გარეშე | ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების საფუძვლები | | | | | | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 39. | | საერთაშორისო საჯარო სამართალი/ევროკავშირი: პოლიტიკა და ინსტიტუტები | ევროკავშირის სამართალი | | | | | | | + | + | 6/150 | 43 | 107 |
| 40. | | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში | | | | | + | + | + | + | 5/125 | 29 | 121 |
| 41. | | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში | | | | | + | + | + | + | 7/175 | 29 | 146 |
| 42. | | წინაპირობის გარეშე | ფორმალური დებატები | | | | | + | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 43. | | წინაპირობის გარეშე | რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა | | | | | + | + | + | + | 6/150 | 29 | 121 |

[3] შენიშვნა: წინაპირობა ინგლისური ენა B2/2 მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვინც აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე გაივლის.

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 44. | | წინაპირობის გარეშე | საერთაშორისო კონფლიქტების არსი, მათი მოგვარება და პრევენცია დიპლომატიური მოლაპარაკებების საშუალებით | | | | | + | + | + | + | 6/150 | 28 | 122 |
| 45. | | შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში | პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკის საფუძვლები | | | | + | + | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 46. | | საგარეო პოლიტიკის ანალიზი | საქართველოს საგარეო პოლიტიკა | | | | | | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 47. | | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | აშშ-ის საგარეო პოლიტიკა | | | | | | | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 48. | | საერთაშორისო საჯარო სამართალი, ინგლისური ენა B2.2. | დიპლომატიური და საკონსულო სამართალი | | | | | | | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 49. | | წინაპირობის გარეშე | ახლო  აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა | | | | | + | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 50. | | წინაპირობის გარეშე | ნატო-ს შეკავების პოლიტიკა და რუხი ზონის სამომავლო პერსპექტივები | | | | | + | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 51. | | წინაპირობის გარეშე | ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორია | | | | + | + | + | + | + | 6/150 | 29 | 121 |
| 52. | | წინაპირობის გარეშე | საერთაშორისო უსაფრთხოება: თეორია და პრაქტიკა | | | | | | | | | 6/150 | 31 | 119 |
| | | საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | |
| 52. | | გერმანული ენა B 1/2/ რუსული ენა B ½ | გერმანული ენა B1/1/ რუსული ენა B1/1 | | | | | | | + | + | 6/150 | 61 | 89 |
| 53. | | გერმანული ენა B 2/1/ რუსული ენა B 2/1 | გერმანული ენა B1/2/ რუსული ენა B1/2 | | | | | | | | + | 6/150 | 61 | 89 |
| 54. | | წინაპირობის გარეშე | მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო | | | | | + | + | + | + | 6/150 | 41 | 109 |
| 55. | | წინაპირობის გარეშე | რელიგია და საზოგადოება | | | | | + | + | + | + | 6/150 | 42 | 108 |
| 56. | | წინაპირობის გარეშე | ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები | | | | | + | + | + | + | 6/150 | 31 | 119 |
| 57. | | წინაპირობის გარეშე | შესავალი სამართალში | | | | | + | + | + | + | 6/150 | 30 | 120 |
| | | | სემესტრში | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წელიწადში | 60 | 60 | 60 | 60 |
| სულ | 240 | | | |

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | სწავლის შედეგები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | A | B | C | D | E | F | G | H |
| აძლევს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებებისა და თეორიების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების, სისტემისა და სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა პროცესების, დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს ფართო თეორიულ ცოდნას. | X | X | | | | | | |
| სძენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარებს. | | | X | X | X | | | |
| უვითარებს საერთაშორისო ურთიერთობების ფუძემდებლური პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარს. | | | | X | | X | X | |
| უვითარებს საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა აქტუალურ და პრობლემურ საკითხზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევებს, საერთაშორისო პოლიტიკური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას. | | | X | | | X | | X |

## პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

| № | მოდული/საგანი | კურსის სტატუსი | | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | (A) | (B) | (C) | (D) | (E) | (F) | (G) | (H) |
| 1. | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | D | P | | | | X | X | | | |
| 2. | კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა | P | | | | | X | X | | | |
| 3. | ფსიქოლოგიის საფუძვლები | D | | | | | | | X | X | |
| 4 | აკადემიური წერა | P | | | | | | X | X | | |
| 5. | სახელმწიფო ენის საფუძვლები | P | | | | | X | X | | | |
| 5. | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1 | I | D | X | X | | | | | | |
| 6. | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2 | I | D | X | X | | | | | | |
| 7. | შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში | I | D | X | X | | | | | | |
| 8. | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | D | M | | X | | | | | | |
| 9. | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | I | D | X | X | | X | | | | |
| 10. | პოლიტიკური თეორია | I | D | | X | | | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11. | საერთაშორისო ურთიერთობების თეორია | I | D | X | X | | | | | | |
| 12. | საერთაშორისო ეკონომიკა | D | | X | | | | | | | |
| 13. | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | I | D | X | | | | | | | |
| 14. | შედარებითი პოლიტიკა | I | D | X | X | X | X | | X | X | |
| 15. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | D | M | X | X | X | X | | | X | |
| 16. | საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები (ქართულ/ინგლისურ ენაზე) | D | M | | X | X | X | | | X | |
| 17. | საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) | P | M | X | X | X | X | X | X | X | X |
| 18. | დიპლომატიური მოლაპარაკებების თეორია | D | M | X | X | X | | | X | X | |
| 19. | ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები | D | M | X | X | X | | | X | X | |
| 20. | მსოფლიო პოლიტიკა | I | D | X | X | X | X | | X | X | |
| 21. | ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი | D | M | X | X | X | | | X | X | |
| 23. | სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში | D | M | X | X | X | | | X | X | |
| 24/ | ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმირებაში | I | D | X | X | X | X | | X | X | |
| 25. | საგარეო პოლიტიკის ანალიზი (ქართულ/ინგლისურ ენაზე) | D | P | | | X | X | X | X | X | |
| 26. | საბაკალავრო ნაშრომი | P | M | X | X | X | X | X | X | X | X |
| 27. | ინგლისური ენა A1 | P | M | | | X | X | | | | |
| 28. | ინგლისური ენა A2 | P | M | | | X | X | | | | |
| 29. | ინგლისური ენა – B1/1* | P | M | | | X | X | | | | |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 30. | ინგლისური ენა – B1/2* | P | M | | | X | X | | | | |
| 31. | ინგლისური ენა – B2/1* | P | M | | | X | X | | | | |
| 27. | ინგლისური ენა – B2/2* | P | M | | | X | X | | | | |
| 28. | გერმანული ენა A1.1/რუსული ენა A1.1/ფრანგული ენა A1.1 | I | P | | | X | X | | | | |
| 29 | გერმანული ენა A1.2/რუსული ენა A.12/ფრანგული ენა A1.2 | P | M | | | X | X | | | | |
| 30. | გერმანული ენა A2.1/რუსული ენა A2.1/ფრანგული ენა A2.1 | P | M | | | X | X | | | | |
| 31. | გერმანული ენაA2.2/რუსული ენა A2.2/ფრანგული ენა A2.2 | P | M | | | X | X | | | | |
| 32. | პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები | I | D | | | X | X | | | | |

**კურსის სტატუსი**

| I – შესავალი კურსები (Introduction) | D - განმავითარებელი კურსები (Developing) | P - პრაქტიკული კურსები (Practical) | M- დაოსტატების კურსები (Master) |
|---|---|---|---|
| | | | |

## პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების  რუკა

| № | მოდული/საგანი | კომპეტენციები | | |
|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა და გაცნობიერება | უნარები | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| 1. | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | X | X | |
| 2. | კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა | X | X | X |
| 3. | ფსიქოლოგიის საფუძვლები | X | X | X |
| 4. | აკადემიური წერა | X | X | X |
| 5. | სახელმწიფო ენის საფუძვლები | X | X | X |
| 6. | ინგლისური ენა A1 | X | X | X |
| 7. | ინგლისური ენა A2 | X | X | X |
| 8. | ინგლისური ენა – B1/1* | X | X | X |
| 9. | ინგლისური ენა – B1/2* | X | X | X |
| 10. | ინგლისური ენა – B2/1* | X | X | X |
| 11. | ინგლისური ენა – B2/2 | X | X | X |
| 12. | საქმიანი კომუნიკაციები (ინგლისურ ენაზე) | X | X | X |
| 13. | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 1 | X | X | X |
| 14. | საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია 2 | X | X | X |
| 15. | შესავალი პოლიტიკის მეცნიერებაში | X | X | X |
| 16. | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | X | X | X |
| 17. | ევროკავშირი - პოლიტიკა და ინსტიტუტები | X | X | X |
| 18. | შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში | X | X | X |
| 19. | პოლიტიკური თეორია | X | X | X |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20. | საგარეო პოლიტიკის ანალიზი (ქართულ/ინგლისურ ენაზე) | X | X | X |
| 21. | საერთაშორისო კონფლიქტების არსი, მათი მოგვარება და პრევენცია დიპლომატიური მოლაპარაკებების საშუალებით | X | X | X |
| 22. | პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკის საფუძვლები | X | X | X |
| 23. | საერთაშორისო ურთიერთობების თეორია | X | X | X |
| 24. | საერთაშორისო ეკონომიკა | X | X | X |
| 25. | შესავალი საკონსტიტუციო სამართალში | X | X | X |
| 26. | შედარებითი პოლიტიკა | X | X | X |
| 27. | საერთაშორისო საჯარო სამართალი | X | X | X |
| 28. | საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები (ქართულ/ინგლისურ ენაზე) | X | X | |
| 29. | საერთაშორისო უსაფრთხოება: თეორია და პრაქტიკა | X | X | X |
| 30. | აშშ-ის საგარეო პოლიტიკა | X | X | X |
| 31. | დიპლომატიური მოლაპარაკებების თეორია | X | X | |
| 32. | საქართველოს საგარეო პოლიტიკა | X | X | X |
| 33. | დიპლომატიური და საკონსულო სამართალი | X | X | X |
| 34. | ჩრდილოატლანტიკური ალიანსი და მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების ფორმირებაში | X | X | X |
| 35. | საბაკალავრო ნაშრომი | X | X | X |
| 36. | გერმანული ენა A1.1/რუსული ენა A1.1/ფრანგული ენა A1.1 | X | X | X |
| 37. | გერმანული ენა A1.2/რუსული ენა A1.2/ფრანგული ენა A1.2/ | X | X | X |
| 38. | გერმანული ენა A2.1/რუსული ენა A2.1/ფრანგული ენა A2.1 | X | X | X |
| 39. | გერმანული ენა A2.2/რუსული ენა A2.2/ფრანგული ენა A2.2 | X | X | X |
| 40. | ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების საფუძვლები | X | X | X |
| 41. | ევროკავშირის სამართალი | X | X | |
| 42. | რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საგარეო პოლიტიკა | X | X | |
| 44. | რელიგიური ფაქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში | X | X | X |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 45. | ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალი | X | X | X |
| 46. | ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები პოსტ-კომუნისტურ სამყაროში | X | X | X |
| 47. | გერმანული ენა A2.1/<br>რუსული ენა A2.1 | X | X | X |
| 48. | გერმანული ენაA2.2/<br>რუსული ენა A2.2 | X | X | X |
| 49. | ფორმალური დებატები | X | X | X |
| 50. | მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო | X | X | X |
| 51. | რელიგია და საზოგადოება | X | X | X |
| 52. | შესავალი სამართალში | X | X | X |
| 53. | ბიზნეს ადმინისტრირების საფუძვლები | X | X | X |
| 54. | ნატო-ს შეკავების პოლიტიკა და რუხი ზონის სამომავლო პერსპექტივები | X | X | X |
| 55. | ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორია | X | X | X |
| 56. | მსოფლიო პოლიტიკა | X | X | X |
| 57. | სამხრეთ კავკასია ახალ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში | X | X | X |
| 58. | ახლო აღმოსავლეთის საგარეო პოლიტიკა | X | X | |
| 59. | პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები | X | X | X |